

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-15

შპს "ანაგი დეველოპმენტი 1" (ს/ნ: 404567713)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ლარი)

აქტივები	შენიშვნები	31.12.2022	31-12-21	31-12-20
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	6	876,317	1,013,473	296,743
არამატერიალური აქტივები		61,046	76,232	91,418
გაცემული სესხები	10	1,824,212	1,004,078	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,761,576	2,093,783	388,162
<i>მიმდინარე აქტივები</i>				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	72,794,413	41,642,742	19,672,381
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	5,745,753	8,604,157	1,769,609
საგადასახადო აქტივი		13,730,848	6,561,644	3,112,427
ფული და ფულის ექვივალენტები	9	2,785,449	250,534	2,989,097
სულ მიმდინარე აქტივები		95,056,462	57,059,077	27,543,514
სულ აქტივები		97,818,038	59,152,861	27,931,676
<i>კაპიტალი</i>				
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		(12,434,834)	(6,854,775)	(4,054,492)
სულ კაპიტალი		(12,434,834)	(6,854,775)	(4,054,492)
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
გრძელვადიანი სესხები	11	23,561,982	18,615,948	4,745,132
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		23,561,982	18,615,948	4,745,132
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
გადასახდელი პროცენტები	11	1,861,741	1,078,631	161,962
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	84,829,149	46,313,057	27,079,075
სულ მიმდინარე ვალდებულებები		86,690,890	47,391,688	27,241,036
სულ ვალდებულებები		110,252,872	66,007,636	31,986,168
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		97,818,038	59,152,861	27,931,676

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



შპს "ანაგი დეველოპმენტი 1" (ს/ნ: 404567713)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ლარი)


	შენიშვნები	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი	13	1,132,211	407,857
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	14	(454,951)	(32,170)
საერთო მოგება/(ზარალი)		677,260	375,687
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(3,867,365)	(3,204,519)
სხვა შემოსავალი		-	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(3,190,105)	(2,828,832)
ფინანსური შემოსავალი	10	183,021	46,103
ფინანსური ხარჯი	11	(1,625,903)	(806,010)
შემოსავალი საკუროსო სხვაობიდან		(219,784)	824,524
არასაოპერაციო ხარჯები		(727,387)	(36,270)
არასაოპერაციო შემოსავლები	16	100	201
მოგება დაბეგვრამდე		(5,580,059)	(2,800,283)
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		(5,580,059)	(2,800,283)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი




შპს "ანაგი დეველოპმენტი 1" (ს/ნ: 404567713)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(ლარი)

კომპანია	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	-	(6,854,775)	(6,854,775)
მოგება წლის განმავლობაში გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი		(5,580,059)	(5,580,059)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	-	(12,434,834)	(12,434,834)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

(ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა	2022 წელი	2021 წელი
წმინდა მოგება	(5,580,059)	(2,800,283)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(14,024,222)	(14,024,222)
სავაჭრო მოთხოვნები	(174,054)	(174,054)
გადახდილი ავანსები	(6,660,494)	(6,660,494)
მზა პროდუქცია	-	-
სხვა	(21,970,361)	(21,970,361)
სხვა მიმდინარე აქტივები	(4,453,295)	(4,453,295)
სავაჭრო ვალდებულებები	(4,376,844)	(4,376,844)
საგადასახადო ვალდებულებები	4,531	4,531
გამოუმუშავებელი შემოსავალი	23,606,301	23,606,301
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	(6)	(6)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(701,544)	(701,544)
სხვა არამატერიალური აქტივები	15,186	15,186
ძირითადი საშუალებები	(716,730)	(716,730)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	14,787,486	14,787,486
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13,870,816	13,870,816
სხვა ვალდებულებები	916,669	916,669
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(2,738,563)	(2,738,563)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	250,534	2,989,097
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,785,449	250,534

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "ანაგი დეველოპმენტი 1" (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2018 წლის 01 ნოემბერს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის დირექტორი არის ივერი ჭალიძე.

დამფუძნებლები

ნანა აროშიძე (პ/ნ 61001011700)
 იბრაიმ შალიკაძე (პ/ნ 61006002758)
 დავით შალიკაძე (პ/ნ 61006010928)

წილი

50%

40%

10%

100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და რეალიზაცია.

კომპანიის მის.: თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ., N 37-39

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2022

1 აშშ დოლარი/ ლარი	2.7020
1 ევრო/ლარი	2.8844

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც მოიცავს ეროვნული ვალუტის არსებობას და რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2022 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2022 წლის სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებით.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუქმებებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. პერიოდის ცვეთის ხარჯი განაწილებულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებზე.

შპს “ანაგი დეველოპმენტი 1” (ს/ნ: 404567713)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის დეკემბერი

(ლარი)

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალება	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსურ აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. ჯგუფი ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდება როგორც გრძელვადიანი.

სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

გადასახადები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

საგადასახადო კანონმდებლობაში გახორციელებული ცვლილებების გამო გადავადებული მოგების გადასახადი არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველი ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულებისა და გაყიდვის დანახარჯებით. გაუფასურების ზარალი პირდაპირ აღიარდება მოგება-ზარალში.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწრა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

შპს “ანაგი დეველოპმენტი 1” (ს/ნ: 404567713)
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2022 წლის დეკემბერი
 (ლარი)

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

6. ძირითადი საშუალებები

კომპანია	მანქანა დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვილ ობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორ ტო საშუალებები	საიჯარო ქონების კეთილმოწყო ბა	ჯამი
ისტორიული ღირებულება						
2022 წლის 1 იანვარი	735,870	165,874	128,940	85,899	118,231	1,234,814
შემოსვლა	109,558	24,897	288	46,129	-	-
გასვლა	(24,055)	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	821,373	190,771	129,228	132,028	118,231	1,391,631
დაგროვილი ცვეთა						
2022 წლის 1 იანვარი	(70,581)	(46,579)	(45,761)	(2,490)	(55,196)	(220,607)
ცვეთის ხარჯი	(195,405)	(32,035)	(27,430)	(16,191)	(23,646)	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	(265,987)	(78,614)	(73,191)	(18,681)	(78,842)	(515,314)
საბალანსო ღირებულება						
2022 წლის 1 იანვარი	665,289	119,296	83,179	83,409	63,035	1,014,208
2022 წლის 31 დეკემბერი	555,387	112,157	56,038	113,347	39,389	876,317

7. სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31.Dec.22	31-Dec-21
გასაყიდი ფართები	0	-
დაუმთავრებელი წარმოება	72,792,975.51	41,641,818
საწვავი	0	-
მცირეფასიანი ნივთები	0	-
სხვა დამხმარე მარაგები	1437.52	924
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	72,794,413	41,642,742

შპს “ანაგი დეველოპმენტი 1” (ს/ნ: 404567713)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის დეკემბერი

(ლარი)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-Dec-22	31-Dec-21
სავაჭრო მოთხოვნები	1,394,684.19	195,656
გაცემული ავანსები	4,351,068.71	8,408,501
სხვა მოთხოვნები	0	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,745,753	8,604,157

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-Dec-22,	31-Dec-21
თანხა ბანკში	359,946.41	250,534
თანხა ბანკში (ბლოკირებული)	2,423,204.16	-
თანხა სალაროში	2,298.15	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,785,449	250,534

10. გაცემული სესხები

კომპანიას 2021 წლის დეკემბერში პარტნიორ საწარმოზე გაცემული აქვს მოკლევადიანი სესხი.

	საწყისი თარიღი	დაფ. თარიღი	საპრ. განაკ.	ვალუტა	31-Dec-22	31-Dec-21
USD გაცემული მოკლევადიანი სესხი 8% - შპს ნუცუბიძე	11-12-21	11-12-22	8.00%	USD ექვ. ლარი	1,753,155.64	1,004,078
სულ გაცემული სესხები					1,753,156	1,004,078
მისაღები ძირი					1,606,640.71	1,001,641
მისაღები პროცენტები					146,514.93	2,437
					1,753,156	1,004,078

შპს “ანაგი დეველოპმენტი 1” (ს/ნ: 404567713)
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის დეკემბერი
(ლარი)

11. სესხები

ორგანიზაცია	საწყისი თარიღი	დაფ. თარიღი	საპრ. განაკ.	ვალუტა	31-Dec-22	31-Dec-21
USD გრძელვადიანი სესხი TBC 8% - სს თიბისი ბანკი	12-03-21	31-12-23	8.00%	USD ექვ. ლარი	15,196,051.83	9,688,083
USD გრძელვადიანი სესხი 7% - ფ/პ იბრაიმ შალიკაძე	12-01-21	31-12-23	7.00%	USD ექვ. ლარი	678,304.17	3,746,584
USD გრძელვადიანი სესხი 7.5% - შპს ანაგი	01-02-19	04-05-20	7.50%	USD ექვ. ლარი	0.16	-
USD გრძელვადიანი სესხი 7% - ფ/პ ნანა აროშიძე	27-12-18	31-12-23	7.00%	USD ექვ. ლარი	647,134.41	5,888,409
USD საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის საკომისიო 2.5% (შპს ანაგი)	01-02-20	31-12-23	2.50%	USD ექვ. ლარი	46,604.95	371,502
სულ სესხები					16,568,096	19,694,579
ძირი					15,977,259.54	18,615,948
პროცენტი					590,835.98	1,078,631
					16,568,096	19,694,579

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-Dec-21	31-Dec-21
მიღებული ავანსები	81,223,464	40,360,001
სავაჭრო ვალდებულებები	5,448,913	5,942,208
საგადასახადო ვალდებულებები	3,827	10,833
სხვა ვალდებულებები	(1,847,056)	15
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	84,829,149	46,313,057

შპს “ანაგი დეველოპმენტი 1” (ს/ნ: 404567713)
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის დეკემბერი
(ლარი)

13. შემოსავალი

შემოსავალი	2022
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	48,785
მომსახურების გაწევიდან	1,083,425
სხვა შემოსავალი	-
სულ შემოსავალი	1,132,211

14. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2022
საქონლის თვითღირებულება	445,708
ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაო	-
დამხმარე მასალების დანახარჯი	9,242
სულ თვითღირებულება	454,951

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022
ხელფასები	1,954,798
კომუნალური ხარჯები	113,785
ბანკის საკომისიო	3,974
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	309,894
საოფისე ხარჯები	47,032
კომუნიკაციის ხარჯები	36,864
იჯარა	141,129
რეკლამის ხარჯები	1,215,555
მცირეფასიანი ნივთების ხარჯი	-
ადმინისტრაციული	25,118
საკონსულტაციო ხარჯები	19,216
რემონტის ხარჯი	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,867,365

16. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ესტონური მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას. მოცემული რეგლამენტის მიხედვით, მოგების გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ არის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი.

მოგების გადასახადის ესტონური მოდელი ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც საგადასახადო მიზნებისათვის ითვლება მოგების განაწილებად, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ეკონომიკური შინაარსის ხარჯები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 მოგების გადასახადის ფარგლებს მიღმაა.

17. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ჰქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და შესაძლებელია, რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორცაა წარსულში არ ჰქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არსებობა არ დაფიქსირებულა.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.